



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მონიტორინგის ანგარიში

2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტი



ზესტაფონის მუნიციპალიტეტი



სამტრედიის მუნიციპალიტეტი



თერჯოლის მუნიციპალიტეტი



ასოციაცია „ქალები რეგიონების განვითარებისთვის“



რეგიონალური ინოვაციების ცენტრი „ნათელი მომავალი“





ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



„მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მონიტორინგი და ფერმერთა ინფორმირებულობა ბიო-სასუქის რესურსის გამოყენებაზე“

პროექტის ავტორები: მაკა ხეცურიანი, მარიკა ვაჭარაძე

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მონიტორინგის ანგარიში

ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის თერჯოლის მუნიციპალიტეტები

ავტორი ქეთევან ცხაკაია

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ასოციაციის „ქალები რეგიონების განვითარებისათვის“ და რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავალი“ მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებლები არიან ასოციაცია „ქალები რეგიონების განვითარებისათვის“ და რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა



შინაარსი

შესავალი	5
მუნიციპალიტეტების ვალდებულებები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში	6
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების დანიშნულება და სტრუქტურა	7
სამიზნე მუნიციპალიტეტების აღწერა, სადაც განხორციელდა მონიტორინგი	8
სამიზნე მუნიციპალიტეტების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მიმოხილვა: შედეგები და რეკომენდაციები	9
ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა	14
ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება	14
ნარჩენების სეპარირება	15
კომპოსტირება	15
ნარჩენების მართვის დაფინანსება	16
არსებული პრობლემები	16
ბაღდათის ნარჩენების მართვის გეგმის სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები	16
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები	18
ზესტაფონის მუნიციპალუტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა	20
მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება	20
ნარჩენების განთავსება	21
ნარჩენების სეპარირება და კომპოსტირება	21
ნარჩენების მართვის დაფინანსება	21
არსებული პრობლემები	21
ზესტაფონის ნარჩენების მართვის გეგმის სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები	22
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები	23
სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა	25
მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება	25
ნარჩენების განთავსება	35
ნარჩენების მართვის დაფინანსება	26
საჯარო ცნობიერება და საზოგადოების ჩართულობა	26
ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები	26
ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი მიმართულებები	26
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები	27
ინფორმაცია პროექტის შესახებ	29

შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც თანხვედრაში იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან. შესაბამისად, მომდევნო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვანად უნდა შეიცვალოს ნარჩენების მართვის სექტორი, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკითხებს.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის პროცესში, კერძოდ, ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების გამოცალკევებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ალდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები, მათი შემდგომი ალდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, მოხდეს ტრანსპორტირება და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად შესაძლო დონით გამოირიცხავს გარემოს დაზიანებებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრამდე ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უზრუნველყვეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება, რომელთა ხანგრძლივობა განსაზღვრულია ხუთწლიანი პერიოდით.

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ, ისე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი გეგმები. კერძოდ, სამტრედიის, ზესტაფონისა და ბაღდათის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შეიქმნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, რომელთა შესრულების მონიტორინგი განხორციელდა პროექტის „მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მონიტორინგი და ფერმერთა ინფორმირებულობა ბიოსასუქის რესურსის გამოყენებაზე“ ფარგლებში, ასოციაციის „ქალები რეგიონების განვითარებისათვის“ და რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავალი“-ს მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG), ევროკავშირის, კონრად ადენაურის ფონდის (KAS) დაფინანსებით.

მუნიციპალიტეტების ვალდებულებები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ თანახმად, განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების ვალდებულებები ნარჩენების მართვის მიმართ.

მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შემდეგი საქმიანობა:

- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურება
- ნარჩენების აღდგენის პროგრამების განხორციელება

კერძოდ, „მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;

ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება დამუშავებისა და განთავსების ობიექტებზე, სადაც ნებადართულია ამგვარი ნარჩენების მიღება;

გ) მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.“

მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ ვალდებულებას ასევე წარმოადგენდა ნარჩენების მართვის იერარქიაზე დაფუძნებული, ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შემუშავება.

ამდენად, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორები, მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს ყველა მუნიციპალიტეტისათვის.

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიმართულებით ეროვნულ სტრატეგიაში დასახულია ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
მუნიციპალური ნარჩენები	90%	100%	100%
სახიფათო ნარჩენები	50%	75%	100%

სტრატეგია ითვალისწინებს შესაძლებლობების ფარგლებში ნარჩენების პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან/და აღდგენას.

ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, 2019 წლის თებერვლიდან საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი დანერგვა

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ დასახულია ნარჩენების რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2020 წ	2025 წ	2030 წ
ქაღალდი	30%	50%	75%
მინა	20%	50%	75%
მეტალი	70%	80%	80%
პლასტიკი	30%	50%	80%

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების დანიშნულება და სტრუქტურა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაზე, როგორცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;
- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებულ სისტემასთან;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოიცვას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- ეკონომიკური სარგებლის მიღება, ისეთი ღონისძიებების დანერგვით, როგორცაა ნარჩენების კომპოსტირება და რეციკლირება.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს¹:

- ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;
- მონაცემებს – შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
- მონაცემებს – მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
- ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას;
- ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის – ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

1. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“

- ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
- თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;
- ი) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.

სამიზნე მუნიციპალიტეტების აღწერა, სადას განხორციელდა მონიტორინგი

იმერეთის რეგიონის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მონიტორინგი. ეს მუნიციპალიტეტებია: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი.



ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ფართობი - 815 კმ²

ბაღდათის მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ბაღდათი და 25 სოფელი, მოსახლეობა 2018 წლისპირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 19830.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს - 60300 ადამიანს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 36 429 ჰა–ს შეადგენს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 15 ადმინისტრაციულ ერთეულად. მუნიციპალიტეტში 56 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 54 სოფელი, საიდანაც 27 მაღალმთიანი სოფელია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 76.000 ადამიანს.

ფართობი – 423 კმ².

მუნიციპალიტეტში 60 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ზესტაფონი, დაბა - შორაპანი და 58 სოფელი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 45.300 ადამიანს.

ფართობი - 357 კმ².

მუნიციპალიტეტში 46 დასახლებული პუნქტია – ქალაქი თერჯოლა და 45 სოფელი.

საპიზნა მუნიციპალიტეტების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მიმოხილვა: შედეგები და რეკომენდაციები

მონიტორინგის პროცესში განხილულია სამი მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა, ნაცვლად – ოთხისა. სამწუხაროდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტმა გეგმა ვერ წარმოადგინა, მისი არარსებობის გამო.

დოკუმენტის დასახელება	შემუშავების დრო	მიღების თარიღი
ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, 2018-2022 წწ.	2017	თებერვალი 2018
მყარი ნარჩენების მართვის გეგმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის. 2018-2022წწ.	2017	დეკემბერი, 2017
სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა. 2018-2022წწ.	2017	

უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონში მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, 2016-2017 წლებში პროექტის „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა“² ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების ციკლი ნარჩენების მართვის სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებზე, ტრენინგების ჩატარებაში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც საერთაშორისო ექსპერტები, ისე – გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. აღნიშნულ ტრენინგებში აქტიურად მონაწილეობდნენ მონიტორინგის სამიზნე მუნიციპალიტეტების (ბაღდათი, სამტრედია, ზესტაფონი) წარმომადგენლები.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისათვის მუნიციპალიტეტებმა გამოყენეს მეთოდოლოგია, რომელიც მომზადდა პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“³ ფარგლებში და რეკომენდებული იყო საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის, ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ განხილული ნარჩენების მართვის გეგმები მიმართულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ისეთი მიმართულებების რეალიზაციაზე, როგორცაა: ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების ეფექტურობის და ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მუნიციპალიტეტებმა განვლილი ორი წლის განმავლობაში შეძლეს, გარკვეულწილად, გაუმჯობესებიათ და გაეზარდათ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურეობის მაჩვენებლები, ნარჩენების სეპარირების მიმართულებით არანაირი პროგრესი არ ფიქსირდება.

ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობისათვის მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურეობის მიწოდების მიზნით მიღწეულია საგრძნობი პროგრესი. კერძოდ, გაიზარდა როგორც მოსახლეობის რაოდენობა, ისე – დასახლებული პუნქტების (სოფლები, დაბები, თემები) ტერიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების შეგროვება და გატანა შესაბამის ნაგავსაყრელებზე. თუმცა, ტექნიკური აღჭურვა ჯერ კიდევ ვერ იძლევა მაღალი შედეგების (ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორის) მიღწევის საშუალებას. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მაღალმთიან, ხშირად მცირე დასახლებულ უბნებში ნარჩენების შეგროვება და გატანა.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ აქტუალურია არასანქცირებული ნაგავსაყრელების არსებობა, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით სოფლებში, ვერ სარგებლობს ნარჩენების შეგროვება-გატანის მუნიციპალური მომსახურეობით. თუმცა, ნარჩენების მართვის გეგმების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა არასანქცირებული ნაგავსაყრელების რიცხვი.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, 2019 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა მუნიციპალიტეტების ვალდებულება, დაიწყონ ნარჩენების სეპარირების განხორციელება. ამ მიმართულებით ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის გეგმები ითვალისწინებს სეპარირების გარკვეული წილით დანერგვას. კერძოდ, სამივე მუნიციპალიტეტში დაგეგმილია პლასტიკის და ქაღალდის ნარჩენების განცალკევებული შეგროვება, სპეციალური კონტეინერების გამოყენებით. სამწუხაროდ, ვერცერთმა მუნიციპალიტეტმა სამიდან (ბაღდათი, ზესტაფონი, სამტრედია) ვერ მოახერხა რაიმე სახით და მოცულობით აღნიშნული საქმიანობის დაწყება, მიუხედავად გეგმაში გათვალისწინებისა. ანალოგიური მდგომარეობაა ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ნარჩენების მართვის გეგმა.

2. „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა“, (ISWM პროექტი). ხორციელდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში. გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მიერ.

3. „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ ხორციელდება საქართველოს ორ სამიზნე რეგიონში (კახეთი და აჭარა) 2014 წლის 18 მარტიდან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და ახორციელებს International City/County Management Association (ICMA), CENN-თან ერთად.

ცხრილი. ნარჩენების სეპარირების მდგომარეობა მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რომელი ტიპის ნარჩენების სეპარირებას ითვალისწინებს გეგმა	რეალიზაციის მდგომარეობა
ბაღდათი	პლასტიკი ქაღალდი	არ დაწყებულია
ზესტაფონი	პლასტიკი ქაღალდი	არ დაწყებულია
სამტრედია	პლასტიკი ქაღალდი	არ დაწყებულია

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნარჩენების მართვის საკითხებში, რომლის გათვალისწინება და დანერგვა ხელს შეუწყობს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობის შემცირებას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების არანაკლებ 40-45% ექვემდებარება კომპოსტირებას.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის საკითხები განხილულია სამტრედიის, ზესტაფონის და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმებში. თუმცა, მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა ითვალისწინებს მწვანე ნარჩენების საკომპოსტე მოედნის შექმნას, დანარჩენ ორ მუნიციპალიტეტში დაგეგმილია კომპოსტირების პოპულარიზაცია და ინდივიდუალური კომპოსტირების ხელშეწყობა.

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი საქმიანობა კომპოსტირების პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

ცხრილი. ნარჩენების კომპოსტირების გათვალისწინება გეგმების მიერ

მუნიციპალიტეტი	ბიოდეგრადირებადი ნარჩენების საკითხები განხილულია	გეგმა ითვალისწინებს კომპოსტირების პოპულარიზაციას	გეგმა ითვალისწინებს საკომპოსტე მოედნების შექმნას
სამტრედია	✓	✓	✓
ბაღდათი	✓	✓	
ზესტაფონი	✓	✓	

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა. სამიზნე მუნიციპალიტეტების გეგმები ითვალისწინებენ ამ მიმართულების საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, ისეთი სამიზნე ჯგუფების ჩართვით, როგორცაა სკოლების მოსწავლეები, ახალგაზრდები, ფერმერები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა გეგმაში შეტანილია ღონისძიებები ნარჩენების მართვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათი განხორციელება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაწყებული და ამ მიმართულებით უფრო დიდ აქტივობას იჩენენ სკოლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. თავად ადგილობრივი თვითმმართველობების როლი და ინიციატივა კი არ არის საკმარისი.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და განხორციელების გაუმჯობესებისათვის სამიზნე მუნიციპალიტეტებში:

- მოხდეს **ბაღდათის, სამტრედიისა და ზესტაფონის** არსებული მუნიციპალური **ნარჩენების მართვის გეგმების განახლება**, ახალი რეალობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ობიექტური ინდიკატორების განსაზღვრით, გეგმების განახლების პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვა.

კერძოდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „მყარი ნარჩენების მართვის გეგმის“ განახლების პროცესში შემუშავდეს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი სამოქმედო გეგმები, განსახორციელებელი ღონისძიებების, შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის განახლების დროს შემუშავდეს სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, ღონისძიებებისა და მისაღწევი ინდიკატორების მითითებით.

- **თერჯოლის მუნიციპალიტეტმა** უმოკლეს დროში **შეიმუშაოს** და დაამტკიცოს **მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა**.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველსაყოფად:

- ბაღდათის, სამტრედიის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფის საკითხებს, გამოიყენონ როგორც საქართველოში (ქუთაისი), ისე სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება.
- მიზანშეწონილია ნარჩენების სეპარირების მიზნით მეზობელ მუნიციპალიტეტებთან კოოპერირება, ერთობლივი საქმიანობების განხორციელება.
- პლასტიკის, ქაღალდისა და მინის სეპარირების დანერგვის მიზნით პროექტების შემუშავება (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობითა და კოოპერირებით), შესაბამისი დაფინანსების მოპოვება, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მოძიება.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობისა და დანერგვისათვის:

- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის სადემონსტრაციო მოედნების მოწყობა სკოლებსა და ფერმერულ მეურნეობებში, უკვე არსებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებ-გვერდების, სოციალური ქსელებისა და ბეჭდვითი რესურსების გამოყენება, მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზება.
- მუნიციპალიტეტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ მწვანე ნარჩენების კომპოსტირების საკითხებს.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების სისტემების სრულყოფისათვის:

- ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერებისა და სპეციალური დანიშნულების ავტომანქანების საჭიროებების განსაზღვრა და დაფინანსების რესურსების მოძიება.
- განსაკუთრებული ყურადღება მალაღმთიან და/ან მცირე დასახლებულ ადგილებში ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ან გარემოსთვის უვნებლად განკარგვის უზრუნველყოფა.
- არასანქცირებული ნაგავსაყრელების აღკვეთა. მოსახლეობის ინფორმირება ნარჩენებით დაბინძურებისათვის სანქციების შესახებ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის არსებული ჯარიმების გამოყენება.
- თანამშრომლობა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, სამშენებლო ნარჩენების პოლიგონის მოწყობის მიზნით.

მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ნარჩენების მართვის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისათვის:

- საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საინფორმაციო კამპანიების რეალიზაცია. ამ საქმეში მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- დასუფთავების აქციების ორგანიზება მუნიციპალიტეტების მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის განვითარება ნარჩენების სეპარირების დანერგვის, ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ სამიზნე ჯგუფების, მოსახლეობის ინფორმირებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- გარემოსდაცვითი აქციებისა და ღონისძიებების (შეხვედრები, ჩვენებები და ა.შ.) ორგანიზება მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით.
- საინფორმაციო და შემეცნებითი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

ქვემოთ განხილულია ბაღდათის, ზესტაფონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა

ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა შემუშავდა 2017 წელს, რომელიც დამტკიცებულია ბაღდათის საკრებულოს მიერ, 2018 წლის თებერვალში. გეგმა მოიცავს 2018-2022 წლებს.

უნდა აღნიშნოს, რომ გეგმის შემუშავებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები, მოხდა გეგმის საჯარო განხილვა, რის შემდეგაც, შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, გეგმა მიიღეს განსახორციელებლად.

ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნა ხასიათდება მზარდი ტენდენციით. თუ 2015 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელზე გატანილი იყო 5000 მ³ ნარჩენი, 2017 წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა - 7544 მ³.

როგორც გეგმაში არის ნაჩვენები, მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა კიდევ უფრო გაიზრდება მომდევნო წლებში.

ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში მიმოხილულია მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენები, რომელთა წარმოქმნის წყაროა:

- საოჯახო მეურნეობები;
- წარმოება-დაწესებულებები;
- სასწავლო დაწესებულებები (სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები);
- მომსახურების სფერო (სავაჭრო და კვების ობიექტები);
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სხვა ანალოგიური დანიშნულების ორგანიზაციები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე წარმოიქმნება ინერტული ნარჩენები, ძირითადად, სამშენებლო ნარჩენები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს აა-იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“, რომლის ფუნქციაა:

- ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე,
- ნარჩენების შეგროვება კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან,
- ბაღის ნარჩენების გატანა,
- მკვდარი ცხოველების გატანა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კონტეინერული და ზარის სისტემა. 2017 წლის ბოლოსთვის კონტეინერული სისტემით მოცული იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მხოლოდ ნაწილი, კერძოდ, ქალაქ ბაღდათის ცენტრალური ქუჩები და სოფლები: წყალთაშუა, ვარციხე, ფერსათი, წითელხევი, როხი, საიმედო, დიდველა, როკითი, ქვედა დიმი, ზედა დიმი, I ობზა, II ობზა, ზეგანი, ნერგეთი. კურორტ „საირმე“-ში გამოიყენება 1,1 მ³ კონტეინერები.

ზარის სისტემა გამოიყენებოდა მხოლოდ ორ სოფელში: სოფელ შუბნისა და სოფელ დიმის ერთ ნაწილში.

უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის შემუშავების დროს, ნარჩენების შეგროვება-გატანის ორგანიზებული მომსახურებით მოცული იყოს ქალაქ ბაღდათის 70%, ხოლო სოფლების - 40%. არსებობდა დასახლებული პუნქტები, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზებული სისტემებით. შესაბამისად, მოსახლეობა თავად იცილებდა წარმოქმნილ ნარჩენებს მისთვის მოხერხებული და მისაწვდომი ხერხებით.

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წამოადგენდა არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ, კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა, აუცილებელობას წარმოადგენდა ნაგავმზიდების პარკის განახლება და ახალი მანქანების შეძენა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების განთავსება ხდება ქუთაისის რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა არასანქცირებული ნაგავსაყრელების არსებობა. გეგმის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენდა მცირე და საშუალო ზომის სტიქიური ნაგავსაყრელები, ძირითადად, მაღალმთიანი სოფლების ხევებსა და ხიდ-ბოგირების მიმდებარე ტერიტორიებზე, რაც ართულებს ამ ტიპის არასანქცირებული ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

ნარჩენების სეპარირება

გეგმის შემუშავების პერიოდისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებული შეგროვება არ ხორციელდებოდა.

კომპოსტირება

გეგმის მიხედვით, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება არ იყო სათანადოდ გავრცელებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამ მიმართულებით საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა კომპოსტირების დანერგვისა და პოპულარიზაციისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, 2017 წელს WorldVision პროექტის ფარგლებში ააიშ „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში მოეწყო 5 საკომპოსტე საიტი და ჩატარდა ტრენინგები კომპოსტირების შესახებ.



ნარჩენების მართვის დაფინანსება

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელზე გატანის ხარჯების დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ, რაც ხასიათდება მზარდი დინამიკით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს დასუფთავების მოსაკრებელი. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასა და გადახდას არეგულირებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის #18 დადგენილება, „ბაღდათის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღების და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად მოსაკრებლის გადამხდელები არიან ქალაქისა და სოფლების მოსახლეობა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირები და ორგანიზაცია-დაწესებულებები, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენებს. მოსაკრებლის ოდენობა ქ. ბაღდათში 1 სულ მოსახლეზე თვეში შეადგენს 0,50 ლარს. ოჯახში სულადობის მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია დადგენილებით და შეადგენს 3-ს.

მოსაკრებლის ამოღებამ იურიდიული პირებიდან 2017 წლის მონაცემებით შეადგინა 98 %. ხოლო მოსახლეობიდან 70 %.

არსებული პრობლემები

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური პრობლემები ნარჩენების მართვის მიმართულებით (პრიორიტეტულობის მიხედვით):

- ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა,
- მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს გარემოს ნარჩენებით დაბინძურებას,
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების (სეპარირების) სისტემების არარსებობა,
- ნარჩენების ორგანიზებული კომპოსტირების არარსებობა
- არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის სანქციების არგამოყენება
- ნაგავმზიდების არასაკმარისი რაოდენობა

ბაღდათის ნარჩენების მართვის გეგმის სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2018-2022 წლების ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიზნებია:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.
2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა.

3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის სფეროში.

გეგმის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი მაჩვენებლების (ინდიკატორების) მიღწევა:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა 2022 წლისთვის ქალაქ ბაღდათში - 100 %, მუნიციპალიტეტის სოფლებში - 80 %-ით.
- წყაროსთან ნარჩენების სეპარირება, კერძოდ, 2020 წლისთვის: ქალაქის სეპარირების მაჩვენებელია- 10%, პლასტიკის სეპარირების- 10%.

2022 წლისთვის დაგეგმილია: ქალაქის სეპარირება- 30%. პლასტიკის სეპარირება - 30%.

თითოეული მიზნის მისაღწევად, გეგმაში განსაზღვრულია განსახორციელებელი ამოცანები და შესაბამისი ღონისძიებები, დადგენილია მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

კერძოდ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად (მიზანი N1), გეგმა ითვალისწინებს ისეთი ამოცანების რეალიზაციას, როგორცაა:

- ნარჩენებს შეგროვების მუნიციპალური მომსახურეობის მიწოდების დანერგვა ისეთ თემებში, სადაც ასეთი მომსახურეობა ჯერ არ ხორციელდება.
- ნარჩენების შეგროვების არსებული მუნიციპალური მომსახურეობის მიწოდების გაფართოება.
- ტურისტულ ობიექტებზე ნარჩენების შეგროვების მომსახურეობის გაუმჯობესება.
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება.
- არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების გაუმჯობესება.
- ინერტული ნარჩენების დასაწყობების უზრუნველყოფა.
- ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა.
- სპეცმანქანების სამრეცხაოსა და სატრანსპორტო პარკის მოწყობა.

მიზანი N2: ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა, მიმართულია პლასტიკისა და ქალაქის განცალკავებული შეგროვების სისტემების შექმნაზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ქალაქის ნარჩენების შეგროვებისათვის გეგმა ითვალისწინებს ამ სახის ნარჩენების შეგროვებას სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში, იქ, სადაც ძირითადად წარმოიქმნება ეს ნარჩენები. კერძოდ, ამ მიზნით ასეთ ორგანიზაციებში გეგმის შესაბამისად უნდა დაიდგას სპეციალური ყუთები. ხოლო პლასტიკის შესაგროვებლად კონტეინერები უნდა განთავსდეს სპეციალურად შერჩეულ ადგილებში.

ამ მიმართულებით გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანების რეალიზაცია:

- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვის უზრუნველყოფა.
- ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია და შემცირება.
- ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა.

გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნარჩენების მართვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

მიზანი N3: **მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის სფეროში**, ითვალისწინებს შემდეგ ამოცანებს:

- გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა.
- ნარჩენების თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- გარემოსდაცვითი აქციების ორგანიზება.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები

ძირითადი შედეგები, რომელსაც 2022 წლისთვის უნდა მიაღწიონ ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის მიხედვით ბაღდათის მუნიციპალიტეტში, არის შემდეგი:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა 2022 წლისთვის ქალაქ ბაღდათში 100 %-ით, მუნიციპალიტეტის სოფლებში - 80 %-ით.
- წყაროსთან ნარჩენების სეპარირება, კერძოდ, 2020 წლისთვის: ქალაქის სეპარირების მაჩვენებელია- 10%, პლასტიკის სეპარირების- 10%.

2022 წლისთვის დაგეგმილია: ქალაქის სეპარირება- 30%. პლასტიკის სეპარირება - 30%.

აღნიშნული ინდიკატორები უნდა იქნას უზრუნველყოფილი მთელი რიგი ღონისძიებებით, რაზეც მიუთითებს სამოქმედო გეგმა.

ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება:

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს მიეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა 100%-ით თავად ქალაქ ბაღდათში, ხოლო სოფლებში- 80%-ით, 2022 წლისთვის.

ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობით, დღეისათვის უზრუნველყოფილია საყოფაცხოვრებო ნარჩენების ორგანიზებული გატანა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა მთავარი სავალი გზების მოწესრიგების შემდეგ.

მთლიანობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების ორგანიზებული მომსახურებით სარგებლობს მოსახლეობის 80%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად საჭიროებისა, ტექნიკური აღჭურვილობა არ გაზრდილა ან განახლებულა.

ასევე არ შეიმჩნევა პროგრესი ისეთ საკითხებში, როგორცაა არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა, ინერტული ნარჩენების დასაწყობების უზრუნველყოფა, სპეცმანქანების სამრეცხაოსა და სატრანსპორტო პარკის მოწყობა, ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების უზრუნველყოფა.

ნარჩენების სეპარირება:

2019 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა ვალდებულება, რომელიც აკისრებს მუნიციპალიტეტებს, დაიწყონ 4 სახის ნარჩენის (პლასტიკი, ქაღალდი, მინა, მეტალი) სეპარირებული შეგროვება. ამასთან ერთად, ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა ასევე ითვალისწინებს სეპარირების დანერგვას და დაგეგმილია მისაღწევი მაჩვენებლები.

დღეისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ განსაზღვრული 4 სახის ნარჩენის სეპარირებული შეგროვება არ ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნავს, რომ ახორციელებს გარკვეულ საქმიანობას ამ მიმართულებით, კერძოდ, შერჩეული აქვს სეპარირებისთვის განკუთვნილი ნარჩენების ფრაქციები და კონტეინერების განთავსების ადგილები, თუმცა, პრობლემას წარმოადგენს თანხების მოძიება კონტეინერების შესაძენად.

რაც შეეხება კომპოსტირებას, ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს Word Vision და ააიპ „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ წვლილი, რომელთა ძალისხმევით მნიშვნელოვანი საქმიანობა არის განხორციელებული კომპოსტირების პოპულარიზაციისათვის. შეიქმნა საკომპოსტე 5 საიტი.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ:

ამ მიმართულებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში აქტიურად მუშაობენ, ძირითადად, სკოლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები (Word Vision, ახალგაზრდები საქართველოსთვის, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“, Ecovision და სხვ.). კერძოდ, ტარდება ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (მუნიციპალური სერვისების წარმომადგენლები, პედაგოგები, ფერმერები) ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ. სკოლის მოსწავლეებთან იმართება შეხვედრები ნარჩენების სეპარირების, რეციკლირების საკითხებზე.

პერიოდულად იმართება დასუფთავების აქციები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და ახალგაზრდები.

რეკომენდაციები:

- არსებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლება ახალი რეალიების გათვალისწინებით და ობიექტური ინდიკატორების განსაზღვრით.
- პლასტიკის და ქაღალდის სეპარირების ტექნიკური აღჭურვის მიზნით დაფინანსების მოპოვება, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მოძიება.
- ნარჩენების სეპარირების მიზნით მეზობელ მუნიციპალიტეტებთან კოოპერირება, ერთობლივი საქმიანობის განხორციელება,
- ქაღალდის სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში.
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გაფართოებისა და დანერგვისათვის, ბაღდათის მუნიციპალიტეტში კომპოსტირების უკვე არსებული პრაქტიკის პოპულარიზაცია და გავრცელების ხელშეწყობა (შეხვედრების ორგანიზება, პუბლიკაციები მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ადგილობრივ მასმედიაში, ბუკლეტების დაბეჭდვა და ა.შ.).
- არასანქცირებული ნაგავსაყრელების აღკვეთა. მოსახლეობის ინფორმირება ნარჩენებით დაბინძურებისათვის საწყციების შესახებ.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ტექნიკური აღჭურვილობის განახლება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

„მყარი ნარჩენების მართვის გეგმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის“ შემუშავებულია ზესტაფონის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და მოიცავს 2018-2022 წლებს.

გეგმა მომზადებულია დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. მასში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის, აქ წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და წყაროების, ნარჩენების რაოდენობის შესახებ. აღწერილია ნარჩენების შეგროვების სისტემები, გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობა.

განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევის მექანიზმი, თუმცა არ არის შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რაც არ იძლევა მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება

ზესტაფონის ნარჩენების მართვის გეგმაში განხილულია მუნიციპალური ნარჩენები, რომელთა შეგროვება-ტრანსპორტირებას ახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ააიპ „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი“-ს საშუალებით.

გეგმის შესაბამისად, 2016 წელს მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა 22341 მ³. დოკუმენტში გაკეთებული პროგნოზის შესაბამისად, 2018 წლისთვის ნარჩენების მოცულობა უნდა გაზრდილიყო, ხოლო შემდეგ მოსალოდნელი იყო ამ მოცულობის კლება.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ააიპ „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი“ ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე,
- ნარჩენების შეგროვება კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან,
- ბაღის ნარჩენების გატანა,
- მკვდარი ცხოველების გატანა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კონტეინერული სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის შემუშავების დროისათვის კონტეინერული სისტემით მოცული იყო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ნაწილი, კერძოდ, ქალაქი ზესტაფონი და სოფლები: მეორე სვირი, ქვედა საქარა, კვალითი, შროშა, შორაპანი, ზესტაფონი-ხარაგაულის დამაკავშირებელი მაგისტრალი, რისთვისაც გამოყენებული იყო 1.1 მ³ მოცულობის 385 კონტეინერი.

კონტეინერების დაცლას ახორციელებდა ააიპ „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრი“ წინასწარ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად (ყოველდღიურად დღეში ორჯერ-ქალაქ ზესტაფონში, ხოლო სოფლებში: კვირაში - 5-ჯერ).

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის ბოლოსთვის, აღნიშნული მომსახურებით უზრუნველყოფილი იყო ქალაქ ზესტაფონის 100%, ხოლო სოფლების - 42%.

არსებობდა დასახლებული პუნქტები, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზებული სისტემებით.

ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის არსებული აღჭურვილობა 2017 წლის ბოლოსთვის:

- კონტეინერები 1,1 მ³ მოცულობის - 385

- ნაგავმზიდი მანქანები:
- სპეციალურიავტომანქანა - 5
- თვითმცლელი -7.

ნარჩენების განთავსება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი ნაგავსაყრელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კოხრის ნაგავსაყრელზე.

კოხრის ნაგავსაყრელის მართვას ახორციელებს შპს „საქართველოს ნარჩენების მართვის კომპანია“ და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის იურისდიქციაში არ შედის.

2017 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა არასანქცირებული ნაგავსაყრელები, არანაკლებ 20 ასეთი ნაგავსაყრელი.

ნარჩენების სეპარირება და კომპოსტირება

ნარჩენების ორგანიზებული სეპარირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხორციელდება, ისევე – როგორც ნარჩენების კომპოსტირება.

ნარჩენების მართვის დაფინანსება

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ამ ნარჩენების გაუვნებლყოფის და განთავსების, ასევე ქუჩების დაგვა-დასუფთავების ხარჯები იფარება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასა და გადახდას არეგულირებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 თებერვლის #4 დადგენილება, „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, მოსაკრებლის გადამხდელები არიან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირები და ორგანიზაცია-დაწესებულებები, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენებს.

მოსაკრებლის ოდენობა 1 სულ მოსახლეზე თვეში შეადგენს 0,50 ლარს.

არსებული პრობლემები

დაგეგმარების პროცესში მოხდა შემდეგი პრობლემების იდენტიფიცირება:

- ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა.
- მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს გარემოს ნარჩენებით დაბინძურებას,
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების (სეპარირების) სისტემების არარსებობა,
- ზარის სისტემით ნარჩენების მოსახლეობიდან გატანის არასაკმარისი სიხშირე ანუ საკმაოდ

- დიდი ინტერვალები ნაგავმზიდი მანქანების მოძრაობის გრაფიკში,
- არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,

ზესტაფონის ნარჩენების მართვის გეგმის სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები

ზესტაფონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის სტრატეგიული მიზნებია:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის ამაღლება.
2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა.
3. რეგულარულად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირება მყარი ნარჩენების მართვის კუთხით.

განსაზღვრულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

მიზანი 1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის ამაღლება:

- ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე,
- ნარჩენების შემკრები კონტეინერების სანიტარული ნორმების დაცვა,
- სპეციალური დანიშნულების ტექნიკის (დამგველი მანქანის) შექმნა,
- ქალაქ ზესტაფონის ყველა ქუჩის დაგვა-დასუფთავების მაქსიმალური უზრუნველყოფა,
- სახიფათო ნარჩენების შეგროვების სისტემის შექმნა,
- ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება.

ამ მიმართულებით დოკუმენტი ითვალისწინებს ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემის ეტაპობრივ დანერგვას თემების დაჯგუფების გზით, რაც უფრო ოპტიმალურს გახდის პროცესს. თემებისა და სოფლების დაჯგუფების ძირითადი პრინციპი ეფუძნება მდებარეობის სიახლოვესა და მისასვლელი გზებით დაკავშირებას. აღნიშნული სისტემის დანერგვა მოითხოვს კონტეინერების რაოდენობის გაზრდას.

მიზანი 2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა:

- პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში,
- ქალაქის, მინისა და ლითონის სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა ქ. ზესტაფონში,
- ნარჩენების კომპოსტირების პროპაგანდა.

მესამე მიზნისათვის დოკუმენტში არ არის გაწერილი ამოცანები და შესაბამისი ღონისძიებები.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები

„მყარი ნარჩენების მართვის გეგმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის“ არ იძლევა საშუალებას მოხდეს მისაღწევი რაოდენობრივი მაჩვენებლების იდენტიფიკაცია, თუმცა დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს ის მაჩვენებლები, რომელთა მიღწევას ითვალისწინებს არსებული დოკუმენტი. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების ორგანიზებული შეგროვებით 2022 წლისთვის 90% უზრუნველყოფა. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელი იქნება კონტეინერულ სისტემაში კიდევ უფრო მეტი სოფლების ჩართვით, რისთვისაც საჭიროა კონტეინერების შექმნა.

ააიპ „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის-ცენტრის“ ცნობით, 2018 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელზე გატანილია 12940857 კგ მუნიციპალური ნარჩენი, ხოლო 2019 წელს - 15381464 კგ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზებულად შეგროვებული და გატანილი ნარჩენების რაოდენობა გაიზარდა.

მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა ისეთი დაგეგმილი ამოცანების შესრულებაში, როგორცაა: ნარჩენების შემკრები კონტეინერების სანიტარული ნორმების დაცვა; სპეციალური დანიშნულების ტექნიკის (დამგველი მანქანის) შექმნა; სახიფათო ნარჩენების შეგროვების სისტემის შექმნა; ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ არის დაწყებული, თუმცა პირადი შეხვედრების დროს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ მზადყოფნას, შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში (სეპარირების ტექნიკური აღჭურვა), განახორცილონ ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ფრაქციების განცალკავებული შეგროვება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას მყარი ნარჩენების მართვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების ღონისძიებათა შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-რესურსების საშუალებით ცნობილია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მთელი რიგი სკოლებისა ახორციელებენ საქმიანობას ნარჩენების მართვის შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, ტარდება დასუფთავების აქციები. თუმცა, აღნიშნული საქმიანობა ატარებს ეპიზოდურ ხასიათს.

რეკომენდაციები:

- მოხდეს „მყარი ნარჩენების მართვის გეგმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის“ განახლება მისი შინაარსის სრულყოფისა და დაზუსტებისათვის, შემუშავდეს განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების განხორციელების გეგმები, სადაც მითითებული იქნება განსახორციელებელი ღონისძიებები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. გეგმის განახლების პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვა. ნარჩენების მართვის საკითხებზე საჭიროებების შესწავლის ორგანიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება განახლებულ გეგმაში.
- ნარჩენების სეპარირების ვალდებულებების შესასრულებლად კარგი იქნება, თუ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი პირველ ეტაპზე დანერგავს ქალაქის ნარჩენების შეგროვებას სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში, ხოლო შემდგომ ეტაპზე – ქალაქ ზესტაფონისა და დიდი დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე.
- ნარჩენების სეპარირების დაწყებისა და დანერგვისათვის კარგი იქნება, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა გამოიყენებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამ-

შრომლობისა და კოოპერაციის შესაძლებლობებს, კერძოდ, ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის დაფინანსების მოპოვების გზით.

- კომპოსტირების ფართოდ გამოყენება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად ნაგავსაყრელზე გასატან ნარჩენებს შორის. კომპოსტირების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა, ამ საქმეში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- დასუფთავების აქციების ორგანიზება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.
- არასანქცირებული ნაგავსაყრელების აღკვეთა. ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის არსებული ჯარიმების გამოყენება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა შემუშავებული და მიღებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის დეკემბერში. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, კერძოდ, შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის მოკლე დახასიათება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის წყაროებს მიეკუთვნება: ადგილობრივი მოსახლეობა, იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანიზაციები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების მომსახურეობას ახორციელებს ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყენება ნარჩენების შეგროვების შემდეგი სისტემები:

კონტეინერული სისტემა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლის მონაცემებით ნარჩენების შესაგროვებლად განთავსებული იყო 1,1 მ³ მოცულობის 263 კონტეინერი.

ზარის სისტემა, რომელიც გამოიყენება მოსახლეობიდან ნაგავშიდი მანქანებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის.

2017 წლის მონაცემებით, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზებული მომსახურეობით უზრუნველყოფილი იყოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის მოსახლეობის 65% და სოფლის მოსახლეობის 10 %.

2017 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- კონტეინერები 1,1 მ³ მოცულობის - 263 ცალი.
- ნაგავშიდი მანქანა - 5 ერთეული, მათ შორის ახალი -3 (2016 წ.)

ნარჩენების განთავსება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენის განთავსებისათვის გამოიყენება სამტრედიის ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს სოფელ დაფნარში. 2014 წლიდან ნაგავსაყრელი გადაეცა შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“. აღნიშნული ნაგავსაყრელი ასევე სხვა მეზობელ მუნიციპალიტეტებს ემსახურება.

მოსახლეობა იყენებს სტიქიურ ნაგავსაყრელებს ნარჩენების განთავსების მიზნით. 2017 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო 20 არალეგალური ნაგავსაყრელი. აქედან სოფლების ტერიტორიაზეა -11, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე -9.

ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე არსებული 9 სტიქიური ნაგავსაყრელიდან 2 ნაგავსაყრელი არის დიდი მოცულობის და მათზე ძირითადად განთავსებულია ინერტული ნარჩენები. ხოლო დანარჩენი 7 ნაგავსაყრელი გაცილებით მცირე მოცულობისაა და მდებარეობს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურეობა არ ხორციელდება. აღნიშნულ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ძირითადად განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ნარჩენების მართვის დაფინანსება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს დასუფთავების მოსაკრებელი. მოსაკრებლის გადამხდელები არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ის იურიდიული პირები და ორგანიზაცია-დაწესებულებები, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენებს. მოსაკრებლის ოდენობა გადამხდელებისათვის შეადგენს 10 ლარს, ნარჩენების ყოველ 1 მ³-ზე.

მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება.

მოსაკრებლის გადამხდელად 2017 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით დარეგისტრირებული იყო 668 სუბიექტი.

საჯარო ცნობიერება და საზოგადოების ჩართულობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პერიოდულად ეწყობა სხვადასხვა სახის დასუფთავების აქციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ საჯარო სექტორში დასაქმებული მოხელეები, მუნიციპალური ააიპ-ები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოსახლეობა.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები

პრიორიტეტულ პრობლემებს წარმოადგენს:

- ნარჩენების მართვისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსი.
- ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა.
- მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს გარემოს ნარჩენებით დაბინძურებას.
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების (სეპარირების) სისტემების არარსებობა.
- არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი მიმართულებები

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტი არ შეიცავს მკაფიოდ გამოკვეთილ სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა.

- მიუხედავად ამისა, დოკუმენტი იძლევა ნარჩენების მართვის ძირითადი მიმართულებების გარკვეულწილად იდენტიფიკაციის საშუალებას. კერძოდ, გათვალისწინებულია **ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების მომსახურების გაფართოება** და მოცული ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა, რაც უნდა მოხდეს ახალი ტექნიკის შესყიდვის ხარჯზე, კერძოდ, უნდა გაიზარდოს კონტეინერების რაოდენობა მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 690-მდე. მათ შორის, ქალაქ სამტრედიისა და დაბის დასახლებებისათვის - 400-მდე, ხოლო სოფლებისათვის - 290-მდე. შესამჩნევია ახალი კონტეინერები და სპეციალური ნაგავმზიდი მაღალმთიანი სოფლებისათვის.
- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვება და განთავსება.** ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი გეგმავს, ხელი შეუწყოს კომპოსტირების დანერგვასა და გავრცელებას, კერძოდ, საკუთარი ბაღების მფლობელთა არანაკლებ 50%-მა უნდა დაიწყოს კომპოსტირებადი ნარჩენების

ნების ინდივიდუალური კომპოსტირება, საბოლოო პროდუქტის-კომპოსტის გამოყენებით. ხოლო 2019 წლიდან მოხდეს ქუჩების, პარკებისა და სკვერების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, დაგეგმილია მოსახლეობის ინფორმირება კომპოსტირების დადებითი შედეგების შესახებ, მაგალითად, ბუკლეტების მიწოდების საშუალებით.

- **მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და რეციკლირება.** დოკუმენტი ითვალისწინებს პლასტიკისა და ქაღალდის სეპარირებული შეგროვების განხორციელებას. კერძოდ, განსაზღვრულია ამ ფრაქციის ნარჩენების დიდი რაოდენობის წარმოქმნის წყაროები, სადაც შესაბამისად იგეგმება ამ ნარჩენების შეგროვება. ქაღალდის შესაგროვებლად განსაზღვრულია ისეთი ობიექტები, როგორცაა ბაზრის ტერიტორია, რესტორნები, სარიტუალო დარბაზები, დიდი სავაჭრო ცენტრები და სუპერმარკეტები, ასევე საჯარო დაწესებულებები, სადაც ქაღალდის ნარჩენების შეგროვება უნდა მოხდეს სპეციალური კონტეინერების საშუალებით.

პლასტიკის ნარჩენების განცალკევებულად შესაგროვებლად იგეგმება სპეციალური კონტეინერების დადგმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მჭიდრო დასახლებაა, კომერციული ობიექტების და პარკების ტერიტორიაზე.

ამისთვის დაგეგმილია 50 სპეციალური კონტეინერის შექმნა (მოცულობით 1,1 მ³).

- **სტიქიური არასანქცირებული ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია.**

დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 2 დიდი ინერტული მასალების სტიქიური ნაგავსაყრელის გასუფთავება და მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება. დანარჩენი მცირე ზომის სტიქიურ ნაგავსაყრელების გაწმენდა ნარჩენებისაგან და ამ უბნებში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურეობის დახერგვა.

ანალოგიური საქმიანობა არის დაგეგმილი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სტიქიურ ნაგავსაყრელების ლიკვიდაციისათვის.

- **მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ჩართვა მყარი ნარჩენების ინტეგრირებული სისტემის დახერგვაში.** ამ მიმართულებით განსაზღვრულია პრიორიტეტები, სამიზნე ჯგუფები და ძირითადი მესიჯები. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართვაზე აღნიშნულ საქმიანობაში.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება: შედეგები და რეკომენდაციები

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ, 2018-2019 წლებში გარკვეული საქმიანობა განხორციელდა ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, გაიზარდა ნარჩენების შეგროვება-გატანის ორგანიზებული მომსახურეობით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა, რაც შესაძლებელი გახდა კონტეინერების რაოდენობის გაზრდით 420-მდე (ანუ დაემატა 157 ახალი კონტეინერი, რაც შეადგენს დაგეგმილი მაჩვენებლის 37%-ს). 2020 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს ნარჩენების შეგროვება-გატანას ქალაქ სამტრედიიდან, დაბა კულაშიდან, ორი სოფლიდან და 8 თემიდან.

შესაბამისად, გაიზარდა ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების მოცულობაც. 2018 წლის მონაცემებით, ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 11400 ტონა ნარჩენი, ხოლო 2019 წელს- 12600 ტონა.

- დაიხურა 20-მდე მცირე ზომის არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელი.
- მიუხედავად იმისა, რომ გეგმა ითვალისწინებდა 2019 წლიდან პლასტიკისა და ქაღალდის სეპარირებული შეგროვების დაწყებას, აღნიშნული საქმიანობა ჯერ კიდევ არ ხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტში.
- ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მწვანე ნარჩენების კომპოსტირება, როგორც ამას ითვალისწინებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაციები

- მოხდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის განახლება, სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, ღონისძიებებისა და მისაღწევი ინდიკატორების მითითებით, სამოქმედო გეგმის შემუშავებით.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტმა ყველა საშუალება გამოიყენოს მწვანე ნარჩენების კომპოსტირების დაწყებისათვის და ინდივიდუალური კომპოსტირების პოპულარიზაციისათვის, კერძოდ, მოხდეს კომპოსტირების ინდივიდუალური მეთოდების შესახებ ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
- რესურსების მოძიება (დონორი ორგანიზაციების ჩათვლით) ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ოთხი სახის ნარჩენების სეპარირების დანერგვისათვის.
- ნარჩენების სეპარირების დაწყების მიზნით საპილოტე პროექტების განხორციელება სკოლებში, პლასტიკისა და ქაღალდის შეგროვების მიზნით.
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა, ნარჩენების სეპარირების დანერგვის, ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ, სამიზნე ჯგუფების, მოსახლეობის ინფორმირებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- თანამშრომლობა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან სამშენებლო ნარჩენების პოლიგონის მოწყობის მიზნით.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი „მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მონიტორინგი და ფერმერთა ინფორმირებულობა ბიო-სასუქის რესურსის გამოყენებაზე“ განხორციელდა ასოციაციამ „ქალები რეგიონების განვითარებისათვის“ (პარტნიორი ორგანიზაცია – რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“).

პროექტი დაიწყო 2020 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2020 წლის 30 სექტემბერს.

პროექტის განხორციელების არეალი - იმერეთის რეგიონის ოთხი მუნიციპალიტეტი: ბაღდათი, თერჯოლა, ზესტაფონი და სამტრედია.

პროექტის მიზანი

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის სისტემების სრულყოფისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა ფერმერთა ინფორმირებულობით და მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მონიტორინგით.

პროექტის ამოცანები:

მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2020 წლებისგეგმის მონიტორინგი ბაღდათის, სამტრედიის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში;

ადგილობრივ ფერმერთა ინფორმირებულობა ნარჩენების მართვისა და სეპარირების; ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებისა და კომპოსტის გამოყენების შესახებ.

პროექტის ფარგლებში მონიტორინგი გაეწია ოთხი მუნიციპალიტეტის (ზესტაფონი, სამტრედია, ბაღდათი, თერჯოლა) 2018-2020 წლების ნარჩენების მართვის გეგმებს.

მომზადდა და დაიბეჭდა ანგარიში, რომელშიც სრულად შევიდა ყველა ის რეკომენდაცია და შენიშვნა, რომელიც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა და დაფიქსირდა. დაიბეჭდა და ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო ფლაერები ნარჩენების და ხარისხების და რეციკლირების შესახებ.

ოთხივე საპილოტე მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები ფერმერებისთვის - კომპოსტირების საკითხებზე, სადაც მონაწილეებმა დეტალურად მიიღეს ინფორმაცია, საყოფაცხოვრებო პირობებში კომპოსტის მიღებაზე და სოფლის მეურნეობაში მის ბიოსასუქად გამოყენებაზე: კერძოდ, თურაარის კომპოსტირება, კომპოსტირების უპირატესობები. რისგან მზადდება კომპოსტი, განსხვავება „მწვანე“ და „მუქ“ კომპონენტებს შორის.

კომპოსტირების პროცესი. ხუთი აუცილებელი პირობა: აერაცია, ტენიანობა, მასალების ნაირსახეობა, ნახშირბადისა და აზოტის შეფარდება, ტემპერატურის უზრუნველყოფა. სხვადასხვა მასალებში ნახშირბადისა და აზოტის შემცველობის შეფარდება. როგორ შევირჩიოთ საკომპოსტე ადგილი, როგორი კონსტრუქციები გამოიყენება კომპოსტირებისათვის, კომპოსტის მომზადების ტექნოლოგიები: აერობული და ანაერობული მეთოდები. კომპოსტირების მარტივი მეთოდი. კომპოსტირების სწრაფი მეთოდი კომპოსტის გამოყენება. კომპოსტირების პროცესის პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები.


პროექტის მიმდინარეობა აქტიურად გაშუქდა ადგილობრივი მედიის მიერ: მომზადდა სიუჟეტები, სტატიები; პროექტის განხორციელების დროს ორგანიზაციამ აქტიურად ითანამშრომლა საპილოტე მუნიციპალიტეტების ადგილობრივ თვითმმართველობებთან.




ბაღდათის
მუნიციპალიტეტი



ზესტაფონის
მუნიციპალიტეტი



სამტრედიის
მუნიციპალიტეტი



თერჯოლის
მუნიციპალიტეტი

